შპს „გია“

ს/კ 412684723 ; ქ. ქუთაისი, ბუხაიძის ქ. II მიკრორაიონი №19/54 ; ტელ.: 5 99 71 66 82 ; E-mail: gigo.kapanadze@gmail.com

„–20–„ „–იანვარი–„ 2023 წელი

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

გაცნობებთ, შპს „გია“-ს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. კვახჭირის ტერიტორიაზე, საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის კოდი 33.01.35.133) 2012 წელს მოწყობილი გვაქვს ბუნებრივი აირით გასამართი სადგური, რომლისთვისაც 2012 წლის 12 სექტემბერს და 2018 წლის 09 მარტს სამინისტროსთან შეთანხმებული იქნა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში. ვინაიდან ობიექტი ფუნქციონირებდა 2018 წლის 01 იანვრამდე, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48^2 მუხლის შესაბამისად არ დაექვემდებარა გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

2022 წლის სექტემბერ-დეკემბრის პერიოდში აღნიშნულ ტერიტორიაზე დამატებით იქნა მოწყობილი თხევადი აირის 7 $მ^3$ მოცულობის ავზი და თხევადი საწვავის (ბენზინი და დიზელი) სამი ავზი, ერთი დიზელის (სრული მოცულობა 19,08 $მ^3$) და ორი ბენზინის (სრული მოცულობები 24,35 $მ^3$ და 15,18 $მ^3$), ჯამური მოცულობა-58,61 $მ^3$.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 12 დეკემბრის N28.282235611 ბრძანებით შპს „გია“ უნებართვო მშენებლობის წარმოებისათვის დაჯარიმდა 1 000 ლარით.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 3.5 მუხლის თანახმად 7$მ^3$ მოცულობის თხევადი აირის საცავის მოწყობა არ ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

იმავე კანონის II დანართის 6.3 პუნქტის და მეშვიდე მუხლის შესაბამისად ნავთობისა და ნავთობპროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლოატაცია ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას და შემუშავებული იქნა სკრინინგის განცხადება.

წარმოგიდგენთ, ზემოაღნიშნულ სკრინინგის განაცხადს. გთხოვთ, განიხილოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი: სკრინინგის განაცხადი და ელ. ვერსია;
Shp - ფაილები;
ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის წერილი.

პატივისცემით,
იოსებ ზარნაძე
დირექტორი

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„23“ 01 2023წ.
№ 372